პროექტი - გახდი სადაზღვევო მრჩევL

სს სადაზღვევო კომპანია „იმედი L” სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ პროექტს: სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამას -*გახდი სადაზღვევო მრჩეველი.* პროექტი ხორციელდება იმედი L-ის აკადემიის ეგიდითა და მასში მონაწილეობენ სადაზღვევო სფეროს წამყვანი, პრაქტიკოსი მენეჯერები.

პროგრამის მიზანია:

პრაქტიკულ კურსზე სპეციფიკური ტექნიკების გამოყენებით სტუდენტებმა:

- განავითარონ ეფექტური კომუნიკაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- შეძლონ მოლაპარაკების სწორად დაგეგმვა და წარმართვა;
- გამოიმუშავონ ბიზნეს გარემოში წერილობითი თუ აუდიტორიის წინაშე ზეპირი პრეზენტაციების წარმართვის უნარი;
- დამაჯერებლად წარმოაჩინონ ცოდნა - დამაჯერებლობა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ადამიანების დარწმუნებისთვის;
- შეიძინონ უცხო გარემოში სწრაფი ადაპტირებისა და მოქმედების უნარი.

თანამედროვე ქოუჩინგის მეთოდების გამოყენებით:

- სწორად განსაზღვრონ საკუთრი მიზანი, მიზნის შესაბამისად აღსრულების გზა, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და აკონტოლონ საკუთარი გეგმა.

სტაჟირების ფარგლებში მითითებული საგანმანათლებლო კურსის გავლის საფუძველზე მიიღებთ შესაბამის სერტიფიკატს, ხოლო პარალელურად გეძლევათ საშუალება გამოიმუშავოთ ანაზღაურება კორპორაციული მიმართულებით თქვენ მიერვე მოზიდული პორტფელის შესაბამისად.

წარმატებულ სტუდენტებს კი ექნებათ საშუალება გახდნენ იმედი L-ის თანამშრომლები!

მოკლედ პროექტის შესახებ

პროგრამის პერიოდი შედგება 2 ბლოკისგან. პირველი 6 კვირიანი ბლოკი შეეხება თეორიულ ნაწილს, რომლის განმავლობაშიც სტუდენტებს ჩაუტარდებათ ტრენინგები მომხმარებელთა ქცევის ფსიქოლოგიის, ეფექტური კომუნიკაციებისა და სადაზღვევო სფეროს ძირითადი თემების შესახებ.

მომდევნო 6 კვირიანი ბლოკი კი სრულად დაეთმობა პროექტის პრაქტიკულ ნაწილს, რომლის განმავლობაშიც შერჩეულ სტუდენტებს მიეცემათ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა. პრაქტიკული ნაწილი შეეხება სამუშაო პროცესის ყველა ასპექტს როგორც სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციის ფორმების გენერირებას, ასევე უშუალოდ კორპორატიულ მომხმარებლებთან შეხვედრების ორგანიზებასა და გამართვასთან დაკავშირებული საკითხებს.

დაინტერესებულ პირებმა:

პირველადი რეგისტრაციის გასავლელად, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ჩვენს

ელექტრონულ მისამართზე: m.tsiklauri@gruni.edu.ge

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) აუცილებლად მიუთითოთ პროგრამის დასახელება : პროექტი გახდი სადაზღვევო მრჩევL

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა: 01.04.19